ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი N2

05 მარტი 2020 წელი

10.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გვანცა გრძელიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მაკა მესხი;
გურამი კიკნაველიძე;
ირინა ტყეშელაშვილი;

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში: ზანდა ჯიხვაძე-ფაიქიძე.

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018წლის 26 იანვრის #17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ზანდა ჯიხვაძე-ფაიქიძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხები

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ, გვანცა გრძელიძემ დამსწრე კომისიის წევრებს წარმოუდგინა საკითხი: „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018წლის 26 იანვრის #17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში: ზანდა ჯიხვაძე-ფაიქიძემ

აზრი გამოთქვა კომისიის წევრი:

მ.მესხი - საკითხი არ არის კარგად დამუშავებული და კანონთან შესაბამისობაში მოყვანილი, ვქმნით განყოფილებას, რომელსაც არც ფუნქცია აქვს და არც არაფელი, თან საორგანიზაციო განყოფილება რასაც მოიცავს იგივე განყოფილება უკვე გვაქვს, ჯობდა დაგვემსხვილებინა და ერთი საორგანიზაციო განყოფილება ყოფილიყო. მე ვერ დავეთანხმები ამ აზრს, ჯობდა შეგვეფუთა ისე, რომ კითხვის ნიშნები არ გვქონოდა.

ი.ტყეშელაშვილი - მე ვფიქრობ რომ საკითხი დასახვეწია, სპეციფიკა კიდევ უფრო დაიხვეწება და კიდევ უფრო შეიცვლება;

ზ. ჯიხვაძე - კანონთან შესაბამისობაში რომ მოგვეყვანა ერთი თვე გვაქვს ვადა, განყოფილება რომ დამსხვილებულიყო ამას მოჰყვებოდა დებულებებში ცვლილებები და შესაბამისად დროში ვერ ჩავეტეოდით ეს დაჩქარებული წესით არის, ჩვენ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, რომ საკითხი გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

გ.გრძელიძე - კანონთან შესაბამისობაში მოყვანა არის აუცილებელი, კანონში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე დასახვეწია სამსახურის დებულება, სადაც გაიწერება ახალი განყოფილების უფლებამოსილებები და არ მოხდება მათი გაორება, რასაც მოვითხოვთ უახლოეს სხდომაზე. თუ დამატებითი კითხვები არ არის მივცეთ ხმა წარმოდგენილ საკითხს ამ ფორმით.

იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გვანცა გრძელიძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის

თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018წლის 26 იანვრის #17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე;

კომისიამ გადაწყვიტა:

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018წლის 26 იანვრის #17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე;

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 3 **წინააღმდეგი: 1**

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხები ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: **გვანცა გრძელიძე**